



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 19251198

თარიღი:29/04/2025

**განკარგულება №41**

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის მამუკა ბიძინაშვილისა და მწვრთნელის ირაკლი თარხნიშვილის დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 27 მარტის №87 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1**

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - მამუკა ბიძინაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 700 (შვიდასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - ირაკლი თარხნიშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

**მუხლი 2**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით სპორტსმენის კანონიერი წარმომადგენლისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

მამუკა ბიძინაშვილი - 700 (შვიდასი) ლარი, პ/ნ 12601106454, თანხა ჩაირიცხოს კანონიერი წარმომადგენლის: ქეთევან ბუჩუკურის (პ/ნ 01034005407) საბანკო ანგარიშზე: GE25BG0000000586552958;

ირაკლი თარხნიშვილი - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი, პ/ნ 12201103212, GE90BG0000000582306001.

**მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

## მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

